



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულეთ-ფშავის კავკასიონი

მთიულეთ-ფშავის კავკასიონი, კავკასიონის სამხრეთი კალთის მონაკვეთი, რ-იც მოიცავს მდინარეების - არაგვისა და ივრის აუზების მთიან ზოლს და აერთიანებს საქართველოს ისტ.-ეთნოგრაფიულ პროვინციებს: მთიულეთს, ფშავს, პირაქეთა ხევსურეთსა და თიანეთს. ჩრდ. საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთ. ქედის თხემს ხორისარსა და ბორბალოს მწვერვალებს შორის, დას. - ალევის ქედის თხემს მწვ. ალევის კლდედღე, აღმ. - კახეთის ქედის თხემს, სამხრ. პირობითია და კავკასიონის სამხრ. კალთის დაბალმთიან ნაწილზე გადის.

მ.-ფ. კ. აგებულია იურული, ცარცული, პალეოგენური და ნეოგენური ასაკის ნალექებით, რ-ებიც უმეტესად ფლიშური ფაციესისაა და ძლიერაა დანაოჭებული. მის ოროგრაფიულ სახეს განსაზღვრავს ეროზიული ქედები და განივი ხეობები. ყველაზე დიდი ოროგრ. ერთეულის - კავკასიონის მთ. ქედის სიმაღლე აქ არსად აღემატება 4000 მ (მწვერვალები: ხორისარი - 3736 მ, დიდი ბორბალო - 3295 მ, რომკახოხი - 3562 მ და სხვ.), ხოლო ყველაზე დაბალი უღელტეხილი 2395 მ-ზე მდებარეობს (ჯვრის უღელტ.). დიდი ოროგრაფიული ერთეულებია აგრეთვე მთ. ქედის სამხრ. განშტოებები: ალევის, მთიულეთის, გუდამაყრის, ქართლის, კახეთის ქედები.

მ.-ფ. კ-ს ახასიათებს ჰავის სიმაღლებრივი ზონალობა დაწყებული ზომიერ, ნოტიო, ცივამთრიანი და ხანგრძლივ გრილზაფხულიანი ჰავიდან, დამთავრებული მაღალმთის მუდმივთოვლიან-მყინვარებიანი ჰავით. იანვრის საშ. ტემპ-რაა 20-იდან 100 ჩ-მდე, ივლისის - 120-იდან 180 ჩ-მდე, ნალექები 600 მმ-იდან 1700 მმ-მდე წელიწადში. მ.-ფ. კ-ის ჰიდროგრ. ქსელს ქმნის მდ. არაგვის სისტემა და მდ. იორი. ხეობებში იცის ღვარცოფები. გვხვდება მინერ. წყლები (მაგ., „ვაჟას წყარო“).

ნიადაგ-მცენარეული საფარი ზონების სახით არის გამოხატული: მთის ტიპურ, ღია და გაენრებულ ყომრალ და ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე განვითარებულია მუხნარ-რცხილნარი (ქვედა კალთებზე), წიფლნარი (ზედა კალთებზე), რ-ებიც 2200-2300 მ სიმაღლემდე ადის. წიფლის ტყის ზონაში შეინიშნება ფიჭვის (გომენრის ხეობა) ნაძვისა და ურთხმელის (კანალხევის ხეობა) გავრცელება ტყის ზონის ზემოთ, 2500-2600 მ-მდე განვითარებულია სუბალპ. ტყე-ბუჩქნარი და მდელოები, ხოლო 3300-3400 მ-მდე - ალპური მდელოები და ხალები.

მ.-ფ. კ-ზე გავრცელებულია ლანდშაფტის 3 ტიპი: შერეული ფართოფოთლოვანი მთა-ტყის ლანდშაფტი (ქვეტიპებით: დაბალმთის მუხნარ-რცხილნარი და საშუალმთის წიფლნარი); მაღალმთის მთა-მდელოს ლანდშაფტი (სუბალპ. და ალპ. ქვეტიპები); გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტის ფრაგმენტები.

დ. უკლება
